

პრივატიზაციის მახეობა

№ 6
აპრილი,
1996 წელი



PRIVATIZATION
HERALD

საინფორმაციო-სარეკლამო გაზეთი

გამოცემის 1993 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ნომერშია

დამტკიცდა პრივატიზაციის
ბრძანებულებით
გვ. 1

საქართველოს
სახელმწიფო ქონების
მართვის სამინისტროს
დებულება
განმარტება
გვ. 2

საქართველო ახალშობილი
საბაზრო ეკონომიკის
ქვეყანა
გვ. 3

ეკონომიკურად
მიზანშეწონილი
ტექნიკური საშუალებების
პრივატიზაციის წესი და
შეფასების მეთოდიკა
გვ. 4-5

ტარდება საბაზრო
აუქციონები
გვ. 6

მსოფლოვ სიფრთხილი
გვ. 7

„პროპარკომის“
ანალიზი და დასკვნები
განმარტება
გვ. 8

ნომერშია

საქართველოს პრივატიზაციის ბრძანებულება

№ 235

1996 წლის 21 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დებულების
დამტკიცებისა და პრივატიზაციის პროცესში შესაძლო შეცდომების
გამორიცხვის საკოორდინაციო-საკონტროლო
კომისიის შექმნის შესახებ

1. დამტკიცდეს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დებულება და სტრუქტურა (თან ერთვის).

2. "სახელმწიფო საწარმოების, სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების სააქციო საზოგადოებებზე გარდაქმნის ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის № 288 დადგენილებისა და "პრივატიზაციის პროცესის მოწესრიგებისა და დაჩქარების ზოგიერთი ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის № 178 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად საწარმოების მიერ ქონების ღირებულების შეფასების სისწორის დადგენისა და პრივატიზაციის პროცესში შესაძლო შეცდომების გამორიცხვის მიზნით შეიქმნას საკოორდინაციო-საკონტროლო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- | | |
|--------------------|--|
| ნიკო ლეკიშვილი | საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე |
| ჯამლეთ ბაბილაშვილი | საქართველოს გენერალური პროკურორი |
| თემურ ბასილია | საქართველოს პრეზიდენტის თანამშემწე ეკონომიკური რეფორმების საკითხებში |
| ბაკურ გულუა | საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი |
| კახა თარგამაძე | საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი |
| დავით იაკობიძე | საქართველოს უინანსთა მინისტრი |
| ავთანდილ იოსელიანი | საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე |
| ვაჟა კაპანაძე | სახელმწიფო კანცელარიის ეკონომიკური რეფორმების განყოფილების უფროსი |
| თედორე ნინიძე | საქართველოს იუსტიციის მინისტრი |
| ულადიმერ პაპავა | საქართველოს ეკონომიკის მინისტრი |
| ავთანდილ სილაგაძე | საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი |
| რევაზ შავეიშვილი | საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე |

3. განისაზღვროს, რომ კომისიის წევრთა სიითი უმრავლესობით გამოვანილი დასკვნა ვახდება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებები, განკარგულებები, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებანი და განკარგულებანი, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ ბრძანებულებით დამტკიცებულ დებულებას.

მ. შვიპერაძე

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში

აღვიწრობის ორგანოებში (სამმართველოები და განყოფილებები) შრომითი ხელშეკრულებების მოსალოდნელი მომლის შესახებ

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ახალი დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცებისას დაკავშირებით სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრმა ბაგონმა ავთანდილ სილაგაძემ გამოსცა ბრძანება, რომლითაც გაფრთხილებულ უნდა იქნენ სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების (სამმართველოების და განყოფილებების) თანამშრომლები, რომ მოსალოდნელია შრომითი ხელშეკრულებების მოშლა. ამასთან დაკავშირებით საორგანიზაციო-საინფორმაციო განყოფილებას (მ. გაბუნია) დაევადა შეიმუშაოს და დასამტკიცებლად წარადგინოს სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების (სამმართველოების და განყოფილებების) დებულების,

სტრუქტურისა და სამგაგო განრიგის გიბიური პროექტი. ბრძანება შესასრულებლად დაეგზავნათ ადგილობრივ ორგანოებს (სამმართველოებს და განყოფილებებს). კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევადა მინისტრის მოადგილეს ბ. ნ. გ. დილაბარძეს და საორგანიზაციო-საინფორმაციო განყოფილებას.

სტრუქტურისა და სამგაგო განრიგის გიბიური პროექტი. ბრძანება შესასრულებლად დაეგზავნათ ადგილობრივ ორგანოებს (სამმართველოებს და განყოფილებებს). კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევადა მინისტრის მოადგილეს ბ. ნ. გ. დილაბარძეს და საორგანიზაციო-საინფორმაციო განყოფილებას.

დამტკიცდა პრივატიზაციის ბრძანებულებით

საქართველოს პრივატიზაციის ელვარდ შევარდნაძემ 1996 წლის 24 მარტს ხელი მოაწერა № 235 ბრძანებულებას, რომლითაც დაამტკიცა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დებულება. მასში მოგად დებულებებთან ერთად განსაზღვრულია სამინისტროს ფუნქციები, უფლება-მოვალეობანი, სტრუქტურა, სამინისტროს ლიკვიდაციისა და დებულებაში ცვლილებების შეგანის წესი. დებულებას შეიძლება გაეცნოთ ჩვენი გამოცემის მე-3 გვერდზე.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში დამტკიცდა სახელმწიფო მფლობელობისათვის ეკონომიკურად მიზანშეწონილი ტექნიკური საშუალებების პრივატიზაციის წესი და შეფასების მეთოდიკა


საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლექტივმა მიიღო დადგენილება. მასში ნათქვამია:

"1. დამტკიცდეს სახელმწიფო მფლობელობისათვის ეკონომიკურად მიზანშეწონილი ტექნიკური საშუალებების პრივატიზების წესი და შეფასების მეთოდიკა" (თან ერთვის. იხ. IV-V გვ.) -

2. დაევალოს იურიდიულ განყოფილებას "სახელმწიფო მფლობელობისათვის ეკონომიკურად მიზანშეწონილი ტექნიკური საშუალებების პრივატიზების წესის და შეფასების მეთოდიკის სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარება საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში.

3. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეს ბატონ კ. იოსელიანს".

წესი და მეთოდიკა იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა 1996 წლის 15 მარტს.



ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. დღეს ინტენსიურად ვმუშაობთ პრივატიზაციის მხარდამჭერი სისტემის შესაქმნელად. იგი კომპლექსურ ღონისძიებებს ითვალისწინებს, რომელიც მესაკუთრეს დაეხმარება წარმოების გამართვაში, თუმცა საბოლოოდ მაინც მესაკუთრეებმა უნდა მოუზარონ თავიანთი საწარმოს. დღევანდელ ვითარებას თუ გავანალიზებთ (ჭერჭერობით მთლიანი ეკონომიკური ანალიზი არ გაგვიკეთებია) დავინახავთ, რომ პრივატიზებული ობიექტები უკეთესად მუშაობენ. ამის ნათელი მაგალითია სავაჭრო პროფილის მცირე საწარმოები. აქ გაცხოველებული საქმიანობა-უპრობაა გაჩაღებული. მომსახურების სფეროს ობიექტები კი, რომლებიც პრივატიზებული არ არის, უარეს მდგომარეობაში არიან.

რთულად არის საქმე დიდ საწარმოებში. აქ ობიექტური ფაქტორები იჩენენ თავს. ენერგეტიკული პრობლემები, პროდუქციის გასაღება. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ საწარმოთა ხელმძღვანელები ხშირად ვერ არიან სათანადოდ მომზადებული საბაზრო პირობებში მუშაობისათვის.

სააქციო საზოგადოება თვითორგანიზებული სისტემაა იქ სადაც აქციების 51 პროცენტზე მეტი სახელმწიფოს ხელშია - საპოლინგო კომპანიებში (ასეთი საწარმოები საკმაოდ ბევრია), მანვე უნდა იზრუნოს საწარმოს, სააქციო საზოგადოების ამოქმედებაზე. სხვა შემთხვევაში აქციონერებს თავად ევსრებათ პასუხისმგებლობა. პრივატიზებული საწარმოთუ ვერ ამუშავდება, აუცილებლად უნდა ამოქმედდეს ბანკოტობის კანონი, გამოცხადდეს იგი ბანკოტად და გაუკეთდეს ლიკვიდაცია. ლიკვიდაცია არის ოპერაცია დასრულებული ეკონომიკური სხეულის გასაჯანსაღებლად. ლიკვიდირებული საწარმოს ქონება, აქტივები უნდა გაიყიდოს და ეს თანხა კვლავ მის ამუშავებას მოხმარდეს. ასე რომ, ბანკოტობა და ლიკვიდაცია ეკონომიკის გაჯანსაღების აუცილებელი პირობაა.

ბატონ ემირის აზრით, საქართველოს ასეთი კანონი აქვს, მაგრამ მისი რეალურად ამოქმედების პრაქტიკა არ არსებობს. ამ საქმის გადადება არ შეიძლება, თუმცა ეს

მეტად ფაქიზად მისადგომი საკითხია და მართა ერთი კანონი არ კმარა, მთელი სისტემაა შესაქმნელი. ეს არ უნდა გახდეს პანიკის საფუძველი, თუ საწარმო ვერ მუშაობს, ვერ იხდის გადასახადს, სახელმწიფოს თუ სხვა ორგანიზაციების ვალის გადა-

ვტყვათ, - განმარტავს ქონების მართვის მინისტრის მოადგილე, - რომ საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების შუა გზაზე ვართ. ამ მიმართულებით სახელმწიფო ქონების მართვის, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებში ინტენსიურად მუშაობენ, მზად-

ჩვენს საქმიანობაშიც ერეოდნენ, გვიხდებოდა ნაჩქარვეი გადაწყვეტილებების მიღებაც, მაგრამ ძირითადი ქონება მაინც გადაჩა. მას პატრონი გამოუჩინდა, ამიტომაც მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ სწორი გზით ვიარეთ.

ტიურობაზე პირდაპირ არის დამოკიდებული მთლიანობის ეკონომიკური აქტივობა, ყველა უნდა ცდილობდეს, მონახოს ის საქმე, რომელიც იმ ეკონომიკურ სივრცეს სჭირდება, სადაც ის ცხოვრობს. ვთქვათ საქიროსაკანცელარიო საჭიროელი, აუცილებლად გამოჩნდება ვინმე, ვინც ამას გააკეთებს. მთავარია იგი არ შეიზღუდოს, გაჩნდება შემომტანი. მწარმოებელი.

თუმცა დღეს საქართველოში თავისუფალი მეწარმეობის განვითარებისთვის, როგორც თავად მეწარმეები აცხადებენ, არც თუ სახარბიელო პირობებია შექმნილი. მაკონტროლებელ ორგანოთა სიმრავლე, ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური აპარატი ხშირად კერძო სექტორს გადაულახავ ბარიერს უქმნის. არ სრულდება სახელმწიფოს მეთაურის მიერ შარშან გამოცემული ბრძანებულება საწარმოთა საქმიანობის გაკონტროლების თობაზე. ბრძანებულებით იგი ქონების მართვის სამინისტროსა და კონტროლის პალატასთან შეთანხმებით უნდა ხდებოდეს, მაგრამ...

ამას პრეზიდენტმაც უკვე რამდენჯერმე მიაქცია ყურადღება. პარლამენტის შესაბამისი კომიტეტები და ბიუროსერობულად ეცილებიან ამ საკითხს.

როგორც ბატონი ემირი ამბობს, მათთან შეუთანხმებლად არცთუ იშვიათად ამოწმებენ საწარმოებს და მათ საქმიანობაშიც უხეშად ერევიან. ეს უნდა გამოირიცხოს. ბრძანებულებით უხუსტად არის განსაზღვრული ვინ და როგორ შეამოწმოს საწარმოები.

პრივატიზაცია, კერძო საკუთრება სასწაულმოქმედი სისტემა არ გახლავთ. იგი პირველ რიგში მოქმედების თავისუფლებაა, რომელიც კანონმებლობით არის დარეგულირებული. და ამ კანონის უმნიშვნელო დარღვევაც კი საკმაოდ მტკივნეულად მოქმედებს მის გამართულ მუშაობაზე. დღეს საქართველოში ყველა უნდა დაინტერესდეს მრეწველობის ამოქმედებით, უნდა შეიქმნას პროდუქცია, ეროვნული დოვლათი, რაც ხვალინდელი ბედნიერი ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. პრივატიზაცია სწორედ ამ მიზანს ემსახურება. მას სხვა დატვირთვა არ გააჩნია.

შოთა მახარაშვილი.
"საქართველოს რესპუბლიკა",
15 მარტი, 1996 წ.

სსსპ გაუთავილან

საქართველო ახალშობილი საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაა

პრივატიზაცია უწყვეტი პროცესია, იგი ყველას აძლევს მისაკუთრებლად გასაღების შანსს

პრივატიზაციის პროცესი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. საპრივატიზაციოდ დამტკიცებულ 7500 მცირე ობიექტიდან უკვე გაყიდულია 6705, ესე იგი, საერთო რაოდენობის 84,9 პროცენტი. აქედან სავაჭრო ობიექტები - 2761, საყოფაცხოვრებო მომსახურების - 2415, მრეწველობის - 171, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის - 183, მშენებლობის - 187, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის - 66, "საქმწიფოს" - 23, საქანთობის - 163, ჯანდაცვის - 334, პურპროდუქტების სისტემის - 52 ობიექტი.

1996 წლის დასაწყისისათვის საქართველოში 3500000 მეტრა კაცმა აიღო საპრივატიზაციო ბარათი, საიდანაც 1267669 ვაუჩერი უკვე გამოყენებულია. უკვე გვევს ასეულ ათასობით აქციის მფლობელი წლეულს, იანერიდან სპეციალიზებულ საბარათო აუქციონზე დაიწყო იმ სააქციო საზოგადოებათა აქციების გამოტანა, რომლებიც შარშან არ გაიყიდა. ეს 450 მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულებას 307,2 მილიონი აქციაა.

პირველი აუქციონიდან ოცდამეათეობით აუქციონის ჩათვლით გასაყიდად გამოიტანეს 939 საწარმოს 132814375 აქცია, საიდანაც გაიყიდა აქციების 29,42 პროცენტი.

აუქციონზე გამოტანილი 939 სააქციო საზოგადოებიდან 252 საწარმოზე საერთოდ არ შემოსულა განაცხადი.

26-ე სპეციალიზებული საბარათო აუქციონიდან დაიწყო საწარმოთა აქციების აუქციონზე გაყიდვის მეორე ტური. განმეორებით გამოიტანეს 178 სააქციო საზოგადოების აქციები, რომელთაგან უკვე გაყიდულია 136 სააქციო საზოგადოების აქციების 33,3 პროცენტი.

პრივატიზაციის პროცესის წარმატებით განხორციელებაზე საქართველოში ბევრი ამყარებს იმედს. ეს გასაგებია არის. იგი, ქვეყნის ეკონომიკის ძლიერების საფუძველი უნდა გახდეს, მაგრამ, ჯერჯერობით, პრივატიზებულ საწარმოებს უჭირთ. ამას თავისი ობიექტური საფუძველიც აქვს, თუმცა არც სუბიექტური მიზეზია უუურადღებოდ დასატოვებული.

ამ პრობლემებზე გვესაუბრება საქართველოს ქონების მართვის მინისტრის პირველი მოადგილე ემირ ჯუღაშვილი.

ხდა არ შეუძლია (ასეთი ბევრი გამოჩნდება), უნდა დაისვას მისი ბანკოტად გამოცხადების საკითხი. ყველა ქვეყანაში ასე ხდება. ეს ბუნებრივი პროცესია და ხელს შეუწყობს ისეთი საწარმოების შექმნას, ვისაც ექნება ბაზარი. ჩვენთან დღეს ძირითადად ენერგეტიკული პრობლემების გამო კი არ არიან საწარმოები გაჩერებული, არამედ მათ პროდუქციას მყიდველი არ ჰყავს. ეს უზარმაზარი პრობლემაა.

საქართველოში პრივატიზაციის პროცესი, შეიძლება ითქვას, დღეს იკრებს ძალას. საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელი პირობაა ქვეყანაში ჩამოყალიბდეს ფასიანი ქალაქების ბაზარი. ასეთი ინსტიტუტის შესაქმნელად ახლა პირველი ნაბიჯები იდგმება. ამიტომაც მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, რომელსაც აქციები უჭირავს ხელში, ჭერჭერობით არ იცის რა მოუხერხოს მას.

საქართველო ახალშობილი საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაა. როცა ჩვენთან დარეგულირდება ფასიანი ქალაქების ბაზარი და მისი ყველა ინსტიტუციონალური სტრუქტურა, მაშინ შეგვიძლია

დგება დოკუმენტები აქციათა რეესტრების, ფასიანი ქალაქების ბაზრის, ბირჟის, რეგისტრატორების, ბროკერ-დილერების სისტემის ჩამოყალიბების შესახებ. შეიქმნება სახელმწიფო საკონტროლო ორგანო, რომელიც დაიცავს ინვესტორებისა და აქციათა მფლობელების ინტერესებს. მანამდე კი საქართველოში თანდათან ჩნდება მესაკუთრეთა ფენა, მოსახლეობის ცნობიერებაში მკვიდრდება საბაზრო ეკონომიკის გაგება. ადრეის უკვირს, რა არის ვაუჩერი, სააქციო საზოგადოება, ინვესტორი, აქცია, დივიდენდი და სხვა, პრივატიზაციის პროცესმა ეს შეძლო.

დღეს თუ ჩვენში ამ მიმართებით ორი რადიკალური შეხედულება არსებობს, ეს ბუნებრივიცაა. ერთი, რომ მთელ ქონებას მათა იგდებს ხელში, მეორე, ვაუჩერით ყველას აქვს საშუალება შეიძინოს კუთვნილი ქონება. გავითვალისწინოთ, როგორი პოლიტიკური ვითარება იყო 1992 წელს, როცა პრივატიზაციის პროცესს ჩაეყარა საფუძველი. იმარცხებოდა ყველაფერი, ამ ფონზე მიმდინარეობდა პრივატიზაცია, იყო შეფერხებები.

ქვეყანაში 5 მილიონი ადამიანიდან ყველა რომ მესაკუთრე ან წვრილი კაპიტალისტი იყოს, ეს შეუძლებელია. ისინი, ვინც მცირე ბუჩქუაზიას წარმოადგენენ, მოსახლეობის 8-10 პროცენტი შეიძლება იყოს, ისინი კი ვინც დიდ კაპიტალს ფლობს - 2-3 პროცენტი.

მესაკუთრეობით სტრუქტურა თანდათან დაიხვეწება. პრივატიზაცია ერთგვარად პროცესი არ არის, იგი უწყვეტად მიმდინარეობს. ამის გამორიცხავაც არ შეიძლება, რომ ვიღაც პრივატიზაციის გზით უპატიოსნოდ დაგროვილი ფულით ჩაიგდებს ქონებას ხელში, მაგრამ, ძირითადად სწორი გზით მივდივართ.

პრივატიზაციის მომავალი საქართველოში დამოკიდებული იქნება საერთო ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რამდენად ეფექტური იქნება კერძო სექტორი. ინვესტორი არ მოვა თუ მას არ ექნება საწარმოს მართვის უფლება, მსხვილი პაკეტის აქციების შექმნის საშუალება.

და კიდევ, არ შეიძლება სახელმწიფო ერეოდეს კერძო ბიზნესში, ვაჭრობის რეგულირებაში. მოსახლეობის აქ-

5.4. კომისია ავსებს გადაწყვეტილების (დანართი ფ. № 1) 13-20 პუნქტებს, თავმჯდომარე ამტკიცებს მას ხელმოწერით. ადასტურებს ბუკლით (დ. 1 გვ. 1 და გვ. 2) მიუთითებს პრივატიზების კომისიის სხდომის ჩატარების თარიღს და ოქმის ნომერს, რომელზეც მოხდა გექნიკური საშუალების რეგისტრაცია.

5.5. კომისია არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში თავის სხდომაზე განიხილავს წარმოდგენილ მასალებს, საჭიროების შემთხვევაში ამოწმებს და საწარმოსთან ერთად ამუშავებს, რის საფუძველზე მიიღება დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილება. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სათანადო დასაბუთებით მასალები უბრუნდება საწარმოს. თანხმობის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების შესახებ ეცნობება საწარმოს და მყიდველს.

5.6. მყიდველი კომისიის მიერ დადგენილი წესით ჩარიცხავს გადაწყვეტილების მე-20 პუნქტში აღნიშნულ თანხას სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან მისი გერიგორიული ორგანოების მიერ მითითებულ ანგარიშზე და თანხის ჩარიცხვის დამადასტურებელ დოკუმენტს წარუდგენს კომისიას.

5.7. მყიდველის მიერ გადახდილი თანხა უნდა განაწილდეს საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 27 ნოემბრის № 372 ბრძანებულების, 1995 წლის 21 ივნისის № 88 განკარგულების და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის 1995 წლის 23 მარტის № 11. 15. 94

დადგენილების შესაბამისად.

5.8. საწარმოს და კომისიის მიერ სათანადოდ დამოწმებული გადაწყვეტილება წარმოადგენს გექნიკური ერთეულის საგზაო პოლიციაში გადაფორმების საფუძველს.

შენიშვნა: აუცილებელია კომისიის მიერ პრივატიზებული გექნიკური საშუალებების სახელმწიფო ავტორისპექციაში რეგისტრაცია და გადაფორმება თანხის გადახდიდან ერთი თვის ვადაში.

VI. კომისიის საქმის წარმონაქმნის ავსილავალი დოკუმენტების ჩამონათვალი, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში გაქნიკური საშუალებების მფლობელი საწარმოსათვის და მყიდველისათვის განსაზღვრული დოკუმენტაციის ნუსხა

6. 1. გექნიკური საშუალებების პრივატიზების კომისიამ უნდა მოამზადოს შემდეგი დოკუმენტაცია:
- სამინისტროს გერიგორიული სამმართველოს (განყოფილების) ბრძანება ამ კომისიის შექმნის შესახებ.
 - რეგისტრაციის ქურნალი (დანომრილი, აკინძული, მონარგაყრილი ლუქით) გექნიკური საშუალებების პრივატიზებაზე, რომელშიც შეტანილი იქნება გექნიკური საშუალების პრივატიზაციის მიხედვით მყიდველის მიერ განცხადების წარმოდგენის დრო, მყიდველის გვარი, სახელი, მამის სახელი, მუშაობის ადგილი, თანამდებობა, გექნიკური საშუალების მფლობელი საწარმო, სამინისტრო

- (უწყება), გექნიკური ერთეულის მარკა, ნომერი (ძარის, ძრავის ნომერი, კომისიის სხდომის ჩატარების თარიღი, ოქმის ნომერი და კრების ჩატარების თარიღი, გადაწყვეტილების ნომერი) ქურნალის გაფორმების ნიმუში იხ. დანართი ფ. № 3).
 - კომისიის სხდომის ოქმი - 3 ეგზ.
 - გადაწყვეტილება (დანართი № 1) - 4 ეგზ.
 - ცნობა (დანართი ფ.2) - 2 ეგზ.
- ყველა აღნიშნული დოკუმენტის დედანი ინახება სამინისტროს გერიგორიულ განყოფილებაში 5 წლის ვადით და შემდგომ დადგენილი წესით ბარდება არქივს.

6. 2. პრივატიზების კომისიამ ყოველ შემთხვევაში დედნო თვის 10 რიცხვამდე სამინისტროს უნდა წარმოუდგინოს:
- ცნობა (დანართი ფ.2) - 1 ეგზ.
 - გადაწყვეტილება (დანართი ფ.1) - 1 ეგზ.
- 6.3. კომისიამ გექნიკური ერთეულის მფლობელ საწარმოს უნდა გადასცეს:
- გადაწყვეტილება (დანართი ფ.1) - 1 ეგზ.
- 6.4. კომისიამ მყიდველს სახელმწიფო ავტორისპექციაში წარსადგენად უნდა გადასცეს:
- გადაწყვეტილება (დანართი ფ. № 1) - 1 ეგზ.

ფორმა № 1

"ვაშაკიძის" სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს რაიონის განყოფილებასთან (სამმართველოსთან) არსებული გექნიკური საშუალებების, სატრანსპორტო საშუალებების პრივატიზების კომისიის თავმჯდომარე "-----" 1995 წ.

"რეგისტრირებალია" გექნიკური სატრანსპორტო საშუალებების პრივატიზების კომისიის სხდომაზე "-----" 1995 წ.

გ ა დ ა შ ყ ვ ი ტ ი ლ ე ბ ა

- გექნიკური საშუალებების პრივატიზების შესახებ
- ავსებს გექნიკური ერთეულის მფლობელი საწარმო (პ. 1-12)
 - საწარმოს დასახელება, მისამართი, სამინისტრო (უწყება) -----
 - გექნიკური საშუალების გიზი, გამოყენების სფერო (გაქსი, სამსახურებრივი სასწრაფო დახმარება და ა. შ.) -----
 - მარკა, მოდელი -----
 - სახელმწიფო ნომერი -----
 - გექნიკურ პასპორტის ნომერი -----
 - ძრავის ნომერი -----
 - ძარის შასის ნომერი -----
 - საწყისი საბალანსო ღირებულება (ათ. კუპ.) -----
 - გარბენი (კმ) -----
 - საამორტიზაციო ანარიცხების ნორმა ნორმატიული ცვეთა %-ში, ფიზიკური ცვეთა %-ში -----
 - გექნიკური საშუალებების ღირებულების მიხედვით, წლების გათვალისწინებით (საჭიროების შემთხვევაში გარბენის მიხედვით).
 - ა. ფიზიკური ცვეთა %-ში (შესაბამისად ცვეთის კოეფიციენტი) -----
 - ბ. ფიზიკური ცვეთა %-ში (შესაბამისად ცვეთის კოეფიციენტი) -----
 - მყიდველის (გვარი, სახელი, მამის სახელი, თანამდებობა) -----
- ბ. ა. საწარმოს ხელმძღვანელი (გ. ს. მ.)
მთავარი ბუღალტერი (გ. ს. მ.)

- ავსებს გექნიკური საშუალების პრივატიზების კომისია (პ. 13-20)
- ფიზიკური ცვეთა %-ში (შესაბამისად ცვეთის კოეფიციენტი) -----
- გადაფასებული ალგენითი ღირებულება (ლარი პ. 9 გადაფასების ინდექსები) დანართი, ცხრ. № 1-ის მიხედვით) -----
- ცვეთის აფასებული ღირებულება: (ათასი კუპონი) პ. 13 ფიზიკური ცვეთის კოეფიციენტი (X პ. 9) საწყისი საბალანსო ღირებულება) ფასების ინდექსები (კოეფიციენტები) (დანართი, ცხრ. № 1-0 მიხედვით) -----
- ნარჩენი ალგენითი ღირებულება (ათასი კუპონი) პ. 14 პ. 15 -----
- დაკომპლექტება -----
- დაკომპლექტებული კვანძების ღირებულება (ათასი კუპონი) -----
- საპრივატიზაციო სარეალიზაციო ღირებულება (დოლარი, ლარი) პ. 1-01. პ. 15 ან პ. 14-პ. 15 პ. 18) -----
- გერიგორიული სამმართველოს (განყოფილების) სპეცნაგარიშზე ჩარიცხული თანხის რაოდენობა (ლარი) -----
- თანხის გადახდის თარიღი ----- 1995 წ.

შეიქმნება: სახელმწიფო ქონების მართვის გერიგორიული ორგანოს გექნიკური ტრანსპორტის პრივატიზების კომისიის წევრის მიერ.

- (გ. ს. მ) გარკვევით
- -
 -
 -
- ბ. ა.

გექნიკური საშუალების ავსების ცხრილი ცხრილი № 1

გექნიკური საშუალების გამოშვების წელი	საპრივატიზებო გექნიკური საშუალების კლასი	საწყისი საბალანსო ღირებულება 1992 წ. 1-ლ ოქტომბრამდე	გადაფასების ინდექსი				ალგენითი ღირებულება	შენიშვნა
			14.09.92 წ. № 926 წინ. გთ. კოეფ. ნაშვ.	23.12.92 წ. № 933 დადგ. ბათი. აფას. კოეფიცი.	16.05.95 წ. № 263 დადგ. ბათი. აფას. კოეფიციენტი			
01.10.92-მღ	ყველა სახის ტექ. საშუალებ.		100	300	12.7	გრ4XგრX5X6Xგრ7		
01.10.92-მღ	ყველა სახის მინაბრუნებელი და ნახევრად მისამბ. და სხვა		50	300	12.7	"-		
01.10.92წ	ყველა სახის ტექნიკური საშუალ.		-	95	12.7	გრ4Xგრ6Xგრ7		
01.04.93წ	"-		-	35	12.7	გრ4Xგრ6Xგრ7		
01.08.93წ	"-		-	7.0	12.7	გრ4Xგრ6Xგრ7		
01.10.93წ	"-		-	1.4	12.7	გრ4Xგრ6Xგრ7		
01.12.93წ	ყველა სახის ტექნიკური საშუალ.		-	1.0	12.7	გრ4Xგრ6Xგრ7		
01.10.93წ	"-		-	1.0	12.7	გრ4Xგრ6Xგრ7		
01.10.94წ	"-		-	1.0	12.7	გრ4Xგრ6Xგრ7		
01.06.95წ	"-		-	1.0	12.7	გრ4Xგრ6Xგრ7		

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ 1992 01.10-მდე შექმნილი გექნიკური საშუალების ღირებულება არსებითად აღემატება იმავე მარკის გექნიკურ საშუალების საბალანსო ღირებულებას, საპრივატიზაციო ღირებულების განსაზღვრის მიზნით ანალოგიური მარკის გექნიკურ საშუალებათა 1988-90წ. სტატისტიკური საჭიროების საბალანსო ღირებულებებიდან.

ფ. № 2-ის გრაფა 10-ში მიღებული სატრანსპორტო ერთეულის ალგენითი ღირებულება (გამოსახული ცხრილში) გადაყვანილია აშშ-ის დოლარებში 1995წ. 16 მაისის. მომენტისათვის არსებული კურსით. კომისიის აშშ-ის დოლართან 13000000 აშშ დოლარი (რომელიც კელაე გამოისახება ლარებში) განვიხილავთ მომენტისათვის საქ. რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ აშშ-ს დოლარის მიმართ გამოცხადებული კურსის მიხედვით (იხ. სატრანსპორტო საშუალების პრივატიზება-შეფასების წესი და მეთოდიკა, თავი 5).

ც ნ ო ბ ა

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ქ.----- რაიონულ სამმართველოსთან (განყოფილებასთან) არსებული სახელმწიფო მფლობელობისათვის ეკონომიკურად მიზანშეწონილი გექნიკური საშუალების საპრივატიზებო კომისიის მიერ რეალიზებული გექნიკური საშუალების შესახებ 1995 თვეში.

დანართი № 2

1	2	3	4	5	6		8	9		11	12	13	14	15	16
					გადაფასების ინდექსი 1992წ. 1993წ. 14 სექტ. 23 დეკ	1995 წლის 16 მაისის № 263 დადგენილებით გათვალისწინ. კოეფ.		გექნიკური საშუალების მფლობელი	ალგენითი ღირებულება						

განყოფილების ფუროსი
საპრივატიზაციო კომისიის წევრთა ხელმოწერა
ცნობის გზავნის თარიღი "-----" ----- 1995 წ.

ტარდება საბარათო აუქციონები

№12 საბარათო აუქციონი

აუქციონი გარდება დადგენილი წესით 1996 წლის 19 აპრილს



Table with 10 columns: №, აუქციონის №, სააქციო საზოგადოების დასახელება, გამოშვებული აქციების რაოდენობა, აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა, % საწესდებო კაპიტალთან, საწყისი ფასი საპრ. ბარათებში, სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი, გენერალური დირექტორი, დაკავშირების მისამართი. Rows include items like 'ინტერკონი', 'თბილისი', 'ლაგოდეხი'.

№13 საბარათო აუქციონი

აუქციონი გარდება დადგენილი წესით 1996 წლის 26 აპრილს

Table with 10 columns: №, აუქციონის №, სააქციო საზოგადოების დასახელება, გამოშვებული აქციების რაოდენობა, აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა, % საწესდებო კაპიტალთან, საწყისი ფასი საპრ. ბარათებში, სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი, გენერალური დირექტორი, დაკავშირების მისამართი. Rows include items like 'შენება', 'საბაზო', 'იმედი', 'ლაკადა'.

№14 საბარათო აუქციონი

აუქციონი გარდება დადგენილი წესით 1996 წლის 26 აპრილს სახელმწიფო ქონების მართვის ქ. რუსთავეის სამმართველოს ბაზაზე

Table with 10 columns: №, აუქციონის №, სააქციო საზოგადოების დასახელება, გამოშვებული აქციების რაოდენობა, აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა, % საწესდებო კაპიტალთან, საწყისი ფასი საპრ. ბარათებში, სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი, გენერალური დირექტორი, დაკავშირების მისამართი. Rows include items like 'ბიზნეს ცენტრი-სასტუმრო', 'აეგომობილი-3', 'მარნეულის ნავთობპროდუქტი'.

ალექსეი კორბანსკი

„ევროპარომატიკი“ აღნიშნავს დღეს-ს მოქალაქეთა უკმაყოფილებას რეფორმის მიმდინარეობით

საბაზრო ეკონომიკის დღეს-ს მოქალაქეთა მხოლოდ 22 პროცენტი თვლის სასარგებლოდ თავისი ქვეყნისათვის...

1995 წელს „ევროპარომატიკი“ გამოკითხვა 20278 კაცი აღმოსავლეთ ევროპის 19 ქვეყნებში...

ევროპის მოქალაქეთა და მოქალაქე-ლეგეთა ერთნაირი რაოდენობაა სლოვაკეთში, ლატვიაში, სლოვენიაში...

ძლიერია საბაზრო ეკონომიკის მხარდაჭერა. რომლებიც აცხადებენ, რომ მათ ქვეყანაში საერთოდ არ გარდობენ...

სლოვაკიაში, და პირიქით, უნგრეთში აღნიშნულია მათი ყველაზე დიდი რიცხვი...

რეკლამა

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ახსნავს კომპარტიულ ქონებასს ურბანო-სოციალისტური და მშენებლობის სამინისტროს შორის „სანტაქმონტაჟის“ იქარით...

განცხადება

განცხადებულმა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინონ „ბეს“ გადხდის დამატებითი დოკუმენტი...

რეკლამა

იყიდა ოროთახიანი ბინა მეტრო დელისთან, მაღალტყერისიანი, მეორე სართულზე...

კროსვორდი
10. შამთის სპორტი; 11. გერმანელი მწერალი; 12. საქართველოს ისტორიული მხარე...

პრივატიზაციის მაცხი
რედაქციის მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზირი, №64
ტელ. 99-93-07; 29-35-90.

პრივატიზაციის მაცხი
ინფორმაცია 66630
რედაქციის მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზირი, №64
ტელ. 99-93-07; 29-35-90.